

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

საპროექტო-საინჟინრო მომსახურებების შესყიდვის კონკურსი

კონკურსის მეშვეობით

1) ქ. ზუგდიდში, ზვიად გამსახურდიას გამზირი №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი:43/31/49/025 საკუთრება-ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, მოსარგებლე-აიპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი)

2) ქ. ზუგდიდში, თავისუფლების ქ. პირველი შესახვევი №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი:43/31/72/004) საკუთრება-ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, მოსარგებლე-აიპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი)

განსათავსებელი საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე პირველი ეტაპით (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) არქიტექტურული ნამუშევრებიდან საკონკურსო წესით გამოვლენილი გამარჯვებულით, მეორე ეტაპით საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეგდენის მომსახურების შესყიდვა.

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

ქ. ზუგდიდი, 2015 წელი

1. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია (მის: ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45), სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით აცხადებს კონკურსს მწვანე საბავშვო ბაღის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვაზე.
2. პირველი სტადიაა არქიტექტურული პროექტი (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი), ხოლო გამარჯვებული კონკურსანტი მოამზადებს სრულ საპროექტო დოკუმენტაციას რომელსაც წარმოადგენს კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენიდან 60 დღის ვადაში.

ქ. ზუგდიდში, ზვიად გამსახურდიას გამზირი #7-ში არსებული საბავშვო ბაღის ფასადის დიზაინის შექმნისა და თავისუფლების ქ. პირველი შესახვევი #5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ახალი, თანამედროვე ტიპის, 150 მოზარდზე გათვლილი მწვანე საბავშვო ბაღის სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაიტერესებულ პირს (როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიული პირებს).

შესყიდვის ობიექტი:

ლოტი I - ქ. ზუგდიდში, ზვიად გამსახურდიას გამზირი #7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი: # 43/31/49/025) განთავსებული საბავშვო ბაღის შენობების რეაბილიტაციის სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

ლოტი II - ქ. ზუგდიდში, თავისუფლების ქ. პირველი შესახვევი #5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი: #43/31/72/004) 150 მოზარდზე გათვლილი ახალი თანამედროვე ტიპის მწვანე საბავშვო ბაღის სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. საბოლოო სრული პროექტის ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს: შენობის ექსტერიერის, ინტერიერის, გარე პერიმეტრის დიზაინი, სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, საავტორო უფლებების გადმოცემა და პროექტის ექსპერტიზა, სრული პროექტის ღირებულება უნდა განისაზღვროს ლოტი II 480000,0 (ოთხას ოთხმოცი ათასი) ლარის ფარგლებში ლოტი I 200000,0 (ორასი ათასი) ლარის ფარგლებში.
4. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (პირველ ეტაპზე მხოლოდ დიზაინის პროექტი ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ **2015 წლის 6 აპრილს 12 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი ზ. გამსახურდიას გამზირი #45 ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.
5. კონკურსი ჩატარდება **2015 წლის 6 აპრილს 12 საათზე** შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზირი #45 ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.
6. კონკურსანტს უფლება აქვს ნებისმიერ ლოტზე წარმოადგინოს დიზაინის ერთი ან რამოდენიმე ვარიანტი. კონკურსის ორივე ლოტში მონაწილეობის შემთხვევაში თითოეულ ლოტზე დიზაინი უნდა იყოს განსხვავებული. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge). საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი.
 - შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საინდენტიფიკაციო კოდი.
 - კონკურსანტის დასახელება და საინდენტიფიკაციო კოდი.
 - საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური კოდი.

პირის მიერ აღნიშნული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.
8. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.
9. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია უნდა იქნას შედგენილი ქართულ ენაზე. უცხოურ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტს უნდა დაერთოს ნოტარიალურად დამოწმებული ქართული თარგმანი. დავის შემთხვევაში უცხოენოვან და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.
10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია უნდა იყოს ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება)
11. ხელშეკრულება დაიდება გამარჯვებულთან მას მერე რაც საკონკურსო კომისია დადებითად შეაფასებს დიზაინის ეტაპს (პირველი ეტაპი) და ცნობს გამარჯვებულად. თუ კომისიამ გამოთქვა შენიშვნები მათ აღმოსაფხვრელად კონკურსანტს მიეცემა 10 (ათი) დღის ვადა. დადებითად შეფასების შემდეგ საბოლოოდ გამოვლინდება გამარჯვებულად. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შესაძლებელია ავანსის გადახდა არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 25 %-ისა, გამარჯვებულ კონკურსანტთან საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მომზადებული სრული სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (მეორე ეტაპი მუშა პროექტის დადებითი შეფასება) ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროდან ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ (შენიშვნების შემთხვევაში მათი ორი კვირის ვადაში გამოსწორებით).
12. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს:
 - განმარტებით ბარათს (რომელიც მოიცავს ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფციას);
 - ენერგოეფექტურობის კონცეფციას (რომელიც მოიცავს ენერგოეფექტურობის სტრატეგიას და მიღწევის გზებს);
 - მწვანე შენობის კონცეფციას (არასავალდებულო მაგრამ სასურველი დოკუმენტი) - რომელიც მოიცავს მწვანე შენობის სტრატეგიას და განხორციელების გზებს;
 - ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილი დიზაინის (სიტუაციურ გეგმებს, ბაღის შენობების გარე და შიდა გეგმარებასა და იერსახეს (ვიზუალური იერსახე რენდერები).

კონკურსში მონაწილე პრეტენდენტმა (პირველი ეტაპი) ლოტი-I 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში და ლოტი II - 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს დეტალური არქიტექტურული პროექტის საკონკურსოდ წარმოდგენა.

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 60 დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს სრული სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა პირველ ეტაპზე მოწონებულ არქიტექტურული პროექტთან მიზმიტ, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- ტოპოგოდეზიური სამუშაოების ჩატარებას, საინჟინრო ქსელების არსებული მდგომარეობის დაფიქსირებით;
- ლოტი I-სთვის საინჟინრო გეოლოგიური კვლევას;

- ვერტიკალური დაგეგმარებას და გარე პერიმეტრის კეთილმოწყობის პროექტს, გარე კომუნიკაციების მიერთების პროექტს, კანალიზაციაზე, ბუნებრივი გაზზე, ელ. ენერგიაზე, სასმელი წყლის არტეზიული ჭაბურღილის ჭასთან;
 - არქიტექტურულ პროექტს;
 - კონსტრუქციულ პროექტს;
 - სპეციალური სამუშაოების პროექტს (გათბობა, ცხელი და ცივი წყალი, კანალიზაცია, სანიაღვრე სისტემა ვენტილაცია- კონდიცირება, სანტექნიკა, ელექტრობა, მათ შორის გარე განათება);
 - სუსტი დენების პროექტს;
 - მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს;
 - მშენებლობის კალენდარულ გრაფიკს;
 - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას;
 - სივრცით დაგეგმარებას;
 - კონკურსანტებმა სრული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონული ფორმატი (ვექტორული DWG, DXF PLN გაფართოების ფაილი _ ArchiCad, Auto CAD), ხარჯთაღრიცხვა (EXCEL ფორმატში) და ნაბეჭდი სახით ალბომებად (3 ეგზემპლარი);
 - ენერგოეფექტურობის სტრატეგია და გეგმას (უნდა მოიცავდეს შენობის ენერგეტიკული ბალანსის მიღწევის სტრატეგიას, გამოყენებული საიზოლაციო მასალების ზუსტ სპეციფიკაციებს, განახლებადი ენერგიის სისტემებს, გამოყენებული დანადგარების და სისტემების აღწერილობას, მასალათა და სისტემების სპეციფიკაციაზე დაყრდნობით ჩატარებულ გამოთვლებს);
 - მწვანე შენობის სტრატეგია და გეგმა (არასავალდებულო მაგრამ სასურველი დოკუმენტი) - უნდა მოიცავდეს მწვანე შენობის მიღწევის სტრატეგიას, კერძოდ, მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: ობიექტის ადგილმდებარეობა და მდგრადი ტრანსპორტირება, მიწათსარგებლობა და ობიექტის ეკოლოგია, წყლის რესურსების ეფექტიანობა, მწვანე მასალები, ჯანმრთელი შიდა გარემო;
 - ძირითადი სათავსოებისათვის ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის გაანგარიშებას;
 - პროექტის შედგენის ღირებულება, რომელიც უნდა მოიცავდეს საკონკურსო განცხადების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების სრულ ფასს;
 - კონკურსანტის სრულ რეკვიზიტებს.
13. საკონკურსო წინადადებების ქულების საბოლოო შეფასება განხორციელდება შემდეგი პროპორციით:
- დიზანის (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) ვიზუალური მხარე
კოეფიციენტი - 0,4
 - პროექტის მომზადების სრული ღირებულება
კოეფიციენტი - 0,2
 - პროექტის ენერგოეფექტურობა
კოეფიციენტი - 0,4 (აქ შევა მწვანე პრინციპების გამოყენება როგორც არა აუცილებელი, მაგრამ სასურველი).
14. საკონკურსო წინადადება შეფასდება საკონკურსო პირობებში ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტის მიხედვით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.
15. კონკურსთან დაკავშირებით განმარტების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში. ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზირი #45, საკონტაქტო პირი დავით ხუნჯუა, ტელ: +995 591445355.

16. გამარჯვებული ესკიზის (დიზაინის პროექტი) გარდა, კონკურსანტებს დაუბრუნდებათ კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 10 დღეში. შემსყიდველი სამომავლოდ იტოვებს უფლებას შეიძინოს ნებისმიერი პროექტი.
17. პირველი ეტაპით გამარჯვებული ესკიზის (დიზაინის პროექტი) კონკურსანტს მეორე ეტაპის სრული საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გამოეყოფა ლოტი I-სთვის 5000,0 (ხუთიათასი) ლარი, ლოტი II-სთვის 15400,0 (თხუთხმეტიათასოთხასი) ლარი.

ტექნიკური დავალება

ლოტი #1

საბავშვო ბაღის არსებულ შენობას უნდა გაუკეთდეს რეაბილიტაცია და ფასადის რეკონსტრუქცია: ზვიად გამსახურდიას გამზირი #7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი: 43/31/49/025).

აღნიშნულ მისამართზე შენობის კონსტრუქციები (დიზაინი-ექსტერიერი) უნდა იყოს ინტეგრირებული ადგილობრივ ლანდშაფტთან (საჭიროების შემთხვევაში გამწვანებითი ღონისძიებების გატარება) და უნდა ეწერებოდეს დადიანების ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის არქიტექტურაში.

პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას:

საბავშვო ბაღის ეზო კარგად სტრუქტურირებული და სრულად ათვისებული უნდა იყოს. მნიშვნელოვანია, რომ ეზოს მთლიან ტერიტორიას იყენებდნენ ბავშვები. ეზოს დაყოფის პროცესში შესაძლებელია, გამოიყოს შემდეგი ზონები: ეზოში შემოსასვლელი ტერიტორია, საქანელებსა და სასრილოებზე სათამაშო ადგილები, ადგილი სპორტული აქტივობების/შეჯიბრებებისათვის, ქვიშაში სათამაშო ადგილი, მცენარეების ბაღი; საბავშვო ბაღის ეზოს დაგეგმვისას დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების მოთხოვნები, ეზოს საფარი უნდა იყოს უსაფრთხო და ემსახურებოდეს ბავშვის სხვადასხვა უნარების განვითარებას. საბავშვო ბაღის ეზოში არ უნდა შედიოდნენ პირდაპირ საავტომობილო მაგისტრალიდან. მთავარი შესასვლელი სატრანსპორტო გზიდან ხელოვნური ბარიერით უნდა იყოს მოშორებული ან გამოყოფილი. ეზოში გათვალისწინებული უნდა იყოს სახანძრო მანქანის შემოსასვლელი.

შენობა უნდა იყოს საქართველოში არსებული უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში (გათვალისწინებული უნდა იქნეს განიერი კიბეები, უსაფრთხოების გასასვლელები და ა. შ.);

შენობის იატაკი, კედლები, კიბეები და პანდუსები ბავშვებისათვის საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდეს.

ბავშვების თავშეყრის ადგილებში სასურველია, მოცურებისაგან დამცავი ზედაპირი იყოს დაგებული, რომელიც უსაფრთხოებას სველ მდგომარეობაშიც შეინარჩუნებს. იატაკზე ფეხის წამოსაკრავი არც ერთი ელემენტი არ უნდა არსებობდეს. კიდეები და პანდუსები არ უნდა იყოს სახიფათო გადაადგილებისთვის. საფეხურებს რომლებიც პრიალა მასალისაგან არის დამზადებული, არ უნდა ჰქონდეს ბასრი კიდეები და გარშემო უნდა ჰქონდეს მოცურებისგან დამცავი სარტყელები. კიბეებს ორივე მხრიდან უნდა მიჰყვებოდეს უწყვეტი მოაჯირი. თავშეყრის ადგილებში კედლებს, 2 მეტრის სიმაღლეზე, არ უნდა ჰქონდეს ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვებული ნაწილები და სახიფათო დეტალები.

ელექტრო გაყვანილობის სადენები ბავშვებისათვის ხელმიუწვდომელი უნდა იყოს. ბავშვი ვერ უნდა წვდებოდეს ჩამრთველებს. გარდა ამისა, ჩამრთველები აუცილებლად უნდა იყოს დაცული.

სასურველია, რომ სამზარეულოს ოთახი იყოს ნათელი და ადვილად განიავდეს. კედლები უნდა იყოს ღია ფერის და ისეთი მასალით (მაგ. კაფელის ფილებით ან ნესტგამძლე სპეციალური საღებავით) მოპირკეთებული, რომ იოლად გაირეცხოს. იატაკი ისეთი მასალით უნდა დაიფაროს, რომელიც გლუვიც იქნება და იოლად მოიწმინდება. ქურა განთავსებული უნდა იყოს სამზარეულოს შუაში. ქურის თავზე უნდა განთავსდეს სავინტილაციო გამწოვი. სამზარეულოში უნდა მოდიოდეს როგორც ცივი ასევე ცხელი წყალი.

ყველა იმ ოთახის კარი, სადაც ბევრი ბავშვი იყრის თავს, იმ მიმართულებით უნდა იღებოდეს, საითაც ევაკუაციის შემთხვევაში აღსაზრდელებს გაიყვანენ. საევაკუაციო გზაზე დაუშვებელია მბრუნავი ან იმგვარი კარების განთავსება, რომელიც ორივე მიმართულებით იღება. შენობას სხვადასხვა წერტილში საევაკუაციო გასასვლელი უნდა ჰქონდეს, ისინი ისეთ ადგილებში უნდა იყოს, რომ აღსაზრდელებმა იოლად და სწრაფად მიაგნონ. ოთახს სადაც ხანძრის რისკი დიდია (მაგ. სამზარეულო) მინიმუმ ორი გასასვლელი უნდა ჰქონდეს. კარი გარე მიმართულებით უნდა იღებოდეს და მათი შიგნიდან გაღება ნებისმიერ დროს იყოს შესაძლებელი.

შენობის დაგეგმარებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საჭიროებები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საბავშვო ბაღის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია, რომ კარის ზომები და პანდუსები გათვალისწინებული იყოს, რათა ეტლის მომხმარებელ ბავშვს ან მშობელს საბავშვო ბაღის შენობაში დამოუკიდებლად შესვლა და გადაადგილება შეეძლოს. შენობის არც ერთ საჭირო სათავსოსთან არ უნდა იყოს ისეთი საფეხურები, რომლებიც ეტლის გადაადგილებას შეუშლის ხელს. დონეების სხვაობა ძირითადად პანდუსების საშუალებით უნდა რეგულირდებოდეს და არა საფეხურებით.

კლიმატი ვენტილაცია (მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღში ტემპერატურის კონტროლი, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. ბავშვების ჯგუფების ოთახებში, დერეფნებში, სასადილოში და სხვა ოთახებში უნდა იყოს თანაბარი ტემპერატურა, მინიმუმ 18 და მაქსიმუმ 24 გრადუსი. იმ ოთახებში, სადაც ბავშვებს უწევთ ვარჯიში, ცეკვა და სხვა ფიზიკური აქტივობები, შესაძლებელია, მინიმალური ტემპერატურა 15 გრადუსი იყოს, ბავშვების საძინებელ ოთახებში კი-16-18 გრადუსი.)

საბავშვო ბაღის ოთახებს სასურველია ჰქონდეს და ბუნებრივი განათება.

საპირფარეშოში უნიტაზები ისეთი ზომის უნდა იყოს, რომ ბავშვს მისი დამოუკიდებლად მოხმარება შეეძლოს, უნიტაზზე ჯდომისას ბავშვის ფეხები იატაკს უნდა სწვდებოდეს. ხელსაბანი ისეთი სიმაღლე უნდა იყოს რომ აღსაზრდელს დამოუკიდებლად შეეძლოს ხელების დაბანა.

საბავშვო ბაღის სივრცითი მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

1. ჰოლი;
 2. მუსიკალური დარბაზი;
 3. სამედიცინო ბლოკი;
 4. საბავშვო ბაღში ბავშვებისათვის განკუთვნილი ჯგუფები:
 - შემოსასვლელი ზონა - სადაც ბავშვი იცვლის ფეხზე და იხდის ქურთუკს;
 - ჯგუფის ოთახი - სადაც ბავშვები თამაშობენ, სწავლობენ, მიირთმევენ საჭმელს და ატარებენ დროის უმეტეს ნაწილს;
 - საძინებელი ოთახი;
 - საპირფარეშო, ხელსაბანი;
 - ჭურჭლის სარეცხი ოთახი.
 5. ცალკე მდგომი შენობა:
 - სამზარეულო;
 - პროდუქტების საწყობი;
 - ბოსტნეულის საწყობი;
 - საკანცელარიო და სამეურნეო ნივთების საწყობი;
 - დირექტორისა და სხვა სპეციალისტების კაბინეტი;
 - ჩამოწერილი ინვენტარის საწყობი;
 - საპირფარეშო მომსახურე პერსონალისთვის;
 - სამრეცხაო ბლოკი.
- სავალდებულო მოთხოვნები - შენობების ენერგოეფექტურობა.
 - არასავალდებულო მაგრამ სასურველი მოთხოვნები - მწვანე შენობა.

ლოტი #2

საბავშვო საბავშვო ბაღის შენობა უნდა განთავსდეს:

თავისუფლების ქ. პირველი შესახვევი #5 მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი:43/31/72/004)

აღნიშნულ მისამართზე შენობის კონსტრუქციები (დიზაინი-ექსტერიერი) უნდა იყოს ჰარმონიაში ადგილობრივ ლანდშაფტთან (საჭიროების შემთხვევაში გამწვანებითი ღონისძიებების გატარება).

პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას:

საბავშვო ბაღის ეზო კარგად სტრუქტურირებული და სრულად ათვისებული უნდა იყოს. მნიშვნელოვანია, რომ ეზოს მთლიან ტერიტორიას იყენებდნენ ბავშვები. ეზოს დაყოფის პროცესში შესაძლებელია, გამოიყოს შემდეგი ზონები: ეზოში შემოსასვლელი ტერიტორია, საქანელებსა და სასრიალოებზე სათამაშო ადგილები, ადგილი სპორტული აქტივობების/შეჯიბრებებისათვის, ქვიშაში სათამაშო ადგილი, მცენარეების ბაღი; საბავშვო ბაღის ეზოს დაგეგმვისას დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების მოთხოვნები. ეზოს საფარი უნდა იყოს უსაფრთხო და ემსახურებოდეს ბავშვის სხვადასხვა უნარების განვითარებას. საბავშვო ბაღის ეზოში არ უნდა შედიოდნენ პირდაპირ საავტომობილო მაგისტრალიდან. მთავარი შესასვლელი სატრანსპორტო გზიდან ხელოვნური ბარიერით უნდა იყოს მოშორებული ან გამოყოფილი. ეზოში გათვალისწინებული უნდა იყოს სახანძრო მანქანის შემოსასვლელი.

შენობა უნდა იყოს საქართველოში არსებული უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში (გათვალისწინებული უნდა იქნეს განიერი კიბეები, უსაფრთხოების გასასვლელები და ა. შ.).

შენობის იატაკი, კედლები, კიბეები და პანდუსები ბავშვებისათვის საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდეს.

ბავშვების თავშეყრის ადგილებში სასურველია მოცურებისაგან დამცავი ზედაპირი იყოს დაგებული, რომელიც უსაფრთხოებას სველ მდგომარეობაშიც შეინარჩუნებს. იატაკზე ფეხის წამოსაკრავი არც ერთი ელემენტი არ უნდა არსებობდეს. კიდეები და პანდუსები არ უნდა იყოს სახიფათო გადაადგილებისთვის. საფეხურებს რომლებიც პრიალა მასალისაგან არის დამზადებული, არ უნდა ჰქონდეს ბასრი კიდეები და გარშემო უნდა ჰქონდეს მოცურებისაგან დამცავი სარტყელები. კიბეებს ორივე მხრიდან უნდა მიჰყვებოდეს უწყვეტი მოაჯირი. თავშეყრის ადგილებში კედლებს, 2 მეტრის სიმაღლეზე, არ უნდა ჰქონდეს ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვებული ნაწილები და სახიფათო დეტალები.

ელექტრო გაყვანილობის სადენები ბავშვებისათვის ხელმიუწვდომელი უნდა იყოს. ბავშვი ვერ უნდა წვდებოდეს ჩამრთველებს. გარდა ამისა, ჩამრთველები აუცილებლად უნდა იყოს დაცული.

სასურველია, რომ სამზარეულოს ოთახი იყოს ნათელი და ადვილად განიავდეს. კედლები უნდა იყოს ღია ფერის და ისეთი მასალით (მაგ. კაფელის ფილებით ან ნესტგამძლე სპეციალური საღებავით) მოპირკეთებული, რომ იოლად გაირეცხოს. იატაკი ისეთი მასალით უნდა დაიფაროს, რომელიც გლუვიც იქნება და იოლად მოიწმინდება. ქურას განთავსებული უნდა იყოს სამზარეულოს შუაში. ქურის თავზე უნდა განთავსდეს სავენტილაციო გამწოვი. სამზარეულოში უნდა მოდიოდეს როგორც ცივი ასევე ცხელი წყალი.

ყველა იმ ოთახის კარი, სადაც ბევრი ბავშვი იყრის თავს, იმ მიმართულებით უნდა იღებოდეს, საითაც ევაკუაციის შემთხვევაში აღსაზრდელებს გაიყვანენ. საევაკუაციო გზაზე დაუშვებელია მბრუნავი ან იმგვარი კარების განთავსება, რომელიც ორივე მიმართულებით იღება. შენობას სხვადასხვა წერტილში საევაკუაციო გასასვლელი უნდა ჰქონდეს ისინი ისეთ ადგილებში უნდა იყოს, რომ აღსაზრდელებმა იოლად და სწრაფად მიაგნონ. ოთახს სადაც ხანძრის რისკი დიდია (მაგ. სამზარეულო) მინიმუმ ორი გასასვლელი უნდა ჰქონდეს. კარი გარე მიმართულებით უნდა იღებოდეს და მათი შიგნიდან გაღება ნებისმიერ დროს იყოს შესაძლებელი.

შენობის დაგეგმარებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საჭიროებები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საბავშვო ბაღის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია, რომ კარის ზომები და პანდუსები გათვალისწინებული იყოს, რათა ეტლის მომხმარებელ ბავშვს ან მშობელს საბავშვო ბაღის შენობაში დამოუკიდებლად შესვლა და გადაადგილება შეძლოს. შენობის არც ერთ საჭირო სათავსოსთან არ უნდა იყოს ისეთი საფეხურები, რომლებიც ეტლის გადაადგილებას შეუშლის ხელს. დონეების სხვაობა ძირითადად პანდუსების საშუალებით უნდა რეგულირდებოდეს და არა საფეხურებით.

კლიმატი ვენტილაცია (მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღში ტემპერატურის კონტროლი, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. ბავშვების ჯგუფების ოთახებში, დერეფნებში, სასადილოში და სხვა ოთახებში უნდა იყოს თანაბარი ტემპერატურა, მინიმუმ 18 და მაქსიმუმ 24 გრადუსი. იმ ოთახებში, სადაც ბავშვებს უწევთ ვარჯიში, ცეკვა და სხვა ფიზიკური აქტივობები, შესაძლებელია, მინიმალური ტემპერატურა 15 გრადუსი იყოს, ბავშვების საძინებელ ოთახებში კი-16-18 გრადუსი.)

საბავშვო ბაღის ოთახები სასურველია, რომ მზიანი იყოს და ბუნებრივი განათება ჰქონდეს.

საპირფარეშოში უნიტაზები ისეთი ზომის უნდა იყოს, რომ ბავშვს მისი დამოუკიდებლად მოხმარება შეეძლოს, უნიტაზზე ჯდომისას ბავშვის ფეხები იატაკს უნდა სწვდებოდეს. ხელსაბანი ისეთი სიმაღლე უნდა იყოს რომ აღსაზრდელს დამოუკიდებლად შეეძლოს ხელების დაბანა.

საბავშვო ბაღის სივრცითი მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

1. ჰოლი;
 2. მუსიკალური დარბაზი;
 3. სამედიცინო ბლოკი;
 4. საბავშვო ბაღში ბავშვებისათვის განკუთვნილი ჯგუფები:
 - შემოსასვლელი ზონა - სადაც ბავშვი იცვლის ფეხზე და იხდის ქურთუკს;
 - ჯგუფის ოთახი - სადაც ბავშვები თამაშობენ, სწავლობენ, მიირთმევენ საჭმელს და ატარებენ დროის უმეტეს ნაწილს;
 - საძინებელი ოთახი;
 - საპირფარეშო, ხელსაბანი;
 - ჭურჭლის სარეცხი ოთახი.
 5. ცალკე მდგომი შენობა:
 - სამზარეულო;
 - პროდუქტების საწყობი;
 - ბოსტნეულის საწყობი;
 - საკანცელარიო და სამეურნეო ნივთების საწყობი;
 - დირექტორისა და სხვა სპეციალისტების კაბინეტი;
 - ჩამოწერილი ინვენტარის საწყობი;
 - საპირფარეშო მომსახურე პერსონალისთვის;
 - სამრეცხაო ბლოკი.
- სავალდებულო მოთხოვნები - შენობების ენერგოეფექტურობა.
 - არასავალდებულო მაგრამ სასურველი მოთხოვნები - მწვანე შენობა.

დამატებითი ინფორმაცია.

წყალმომარაგების მიზნით უნდა მოეწყოს ბაღის ტერიტორიაზე არსებული ჭის რეაბილიტაცია 12მ. სიღრმემდე წყალსაცავისათვის ანძის მოწყობა.

უნდა მოეწყოს გარეთა საკანალიზაციო მილგაყვანილობის დაერთდება ცენტრალურ საკანალიზაციო კოლექტორთან თავისუფლების ქუჩაზე.

ელ. ენერგიითა და გაზით მომარაგების ტექნიკური პირობის მიღება, მოთხოვნილი სიმძლავრეების მიხედვით, განხორციელდება მშენებლობის დროს დამკვეთის მიერ. ასევე სატელეფონო, სატელევიზიო და ინტერნეტის კომუნიკაციების შესაყვანად.

სავალდებულო მოთხოვნები - შენობების ენერგოეფექტურობა

ენერგოეფექტურობა

განისაზღვროს შენობის მიერ ენერგიის ეფექტურად მოხმარების სტრატეგია. ამაში შეიძლება შევიდეს როგორც აქტიური ისე პასიური ელემენტები, მაგ. პასიური ელემენტები, როგორიცაა: თბოიზოლაცია, მზის სისტემების ეფექტური დიზაინი და დაჩრდილვა, ბუნებრივი ვენტილაცია და ა.შ.; აქტიური ელემენტები: ეფექტური/ჰიპოთეკური განათების სისტემები; საწვავ-ეფექტიანი ღუმელები და ჩილერები; განახლებადი ენერგიის წყაროები და ელექტროენერგიის წარმოება.

ასევე უნდა განისაზღვროს გამოყენებული ენერგიის წყაროების მიზანშეწონილობა არსებული გარე ინფრასტრუქტურის და ენერგიაზე დღევანდელი ფასების გათვალისწინებით.

არასავალდებულო მაგრამ სასურველი მოთხოვნები - მწვანე შენობა

ადგილმდებარეობის მდგრადი გამოყენება

- მიწის რესურსების მდგრადი გამოყენება, სასურველია აქამდე ურბანულად განვითარებულ ან თუნდაც დაბინძურების შედეგად აღდგენილ ტერიტორიაზე, ნაცვლად გამწვანებული ტერიტორიისა.
- ნიადაგის კონსერვაციის დონე, ეროზიისგან დაცულობა, ადგილობრივი ეკოლოგიური ზიანის მინიმუმამდე დაყვანა, ხეების დაცვა ან შენარჩუნება და ცხოველებისთვის ახალი ეკოლოგიური ნიშების შექმნა, მაგ. - მწვანე სახურავები.
- არის თუ არა ობიექტი მეგობრული თანამშრომლებისათვის სამსახურში ველოსიპედით სასიარულოდ?
- არის თუ არა ადვილად მისადგომი საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეთათვის?
- არის თუ არა ობიექტიდან შუქით დაბინძურება ღამის საათებში?
- არის თუ არა გათვალისწინებული ზედაპირების არეკვლადობა სითბური კუნძულის ეფექტის შესამცირებლად?
- არის თუ არა გათვალისწინებული ქვეფენილი ზედაპირების წყალგამტარობა და მიწაში დაუბრკოლებლად გაჟონვა?

წყლის ეფექტურობა

- პროექტში წყლის რესურსების ყველა მიმართულებით ეფექტური გამოყენების დონე. ეს მოიცავს ქალაქიდან მოწოდებულ წყალს, სასმელ წყალს, რომლითაც მარაგდება ობიექტი, ასევე წვიმის და ზედაპირული წყლების გამოყენებას:
- გამოიყენება თუ არა დაბალი დინების აპარატურა და რამდენად დიდია სანკვანძებში წყლის ეფექტურობა? რა ძალისხმევა აქვთ გაწეული წყლის არამიზნობრივი ხარჯვის და სასმელი წყლის ეფექტურობისათვის, მოწოდებისათვის საჭირო ენერგიის შესამცირებლად?
- გაკეთდა თუ არა რაიმე წვიმის წყლის გამოსაყენებლად, ან წყლის დაზოგვის გასაზრდელად და წყალშემცველი ფენების შესავსებად?
- არის თუ არა გათვალისწინებული წვიმის წყლის დატვირთვის შემცირება მუნიციპალურ ქსელზე?

მასალების მდგრადი გამოყენება

- ამ კატეგორიაში განიხილება სამშენებლო მასალები.
- მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი არის თუ არა რეციკლირებული/ ნარჩენებისგან გადამუშავებული ან მეორადად გამოყენებული მასალები?
- მოხდა თუ არა მასალების შერჩევა მათი წარმოებისას დაბალი ზემოქმედებიდან გამომდინარე (დაბინძურების და ენერგიის მოხმარების გათვალისწინებით)?
- იყო თუ არა მშენებლობის ადგილზე სამშენებლო ნარჩენები მინიმალიზირებული?
- მიღებულია თუ არა მასალები ადგილობრივი და არა შორ მანძილზე/უცხოეთში არსებული მომწოდებლებისგან?

შიდა გარემოს მდგრადობის ხარისხი/ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

პროექტის ორიენტირება მომხმარებლის ჯანმრთელობაზე და ისეთი გარემოს შექმნაზე, რომელიც ცხოვრების ჯანმრთელ წესს უწყობს ხელს.

- ამის მიღწევა შესაძლებელია ჰაერის მაღალი ხარისხის მიღებით დაბალი ემისიის მქონე VOC (აქროლადი ორგანული ნაერთის) მასალებით, კარგი ვენტილაციით, გამონაბოლქვის გაფილტვრით, სახლის მცენარეებითა და ჰაერის ხარისხის მონიტორინგით.
- ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული სხვა ასპექტები, რაც ხელს შეუწყობს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, როგორცაა: ველოსიპედების სადგომი და გამოსაცვლელი ოთახი, მცენარეული ტერასები კვებისა და მუშაობისათვის.
- ბუნებრივი განათებულობის მოთხოვნების ზუსტი დაცვა, ინსოლაციის მოთხოვნების შესრულება
- ავეჯისათვის ეკოლოგიური მოთხოვნების ჩამოყალიბება.
- თერმული კომფორტი, ჟანგბადის დონე სათავსოებში.
- მართული ინდივიდუალური სანათები.

ინოვაციური დიზაინი

- მოიაზრებს თუ არა პროექტი ისეთ ელემენტებს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს მწვანე მშენებლობაზე და პრობლემის ინოვაციური და ესთეტიური მიმართებებით გადაწყვეტაზე, ასევე პოპულარიზაციას უწევს ზოგადად მწვანე შენობას და მუნიციპალიტეტის მწვანე მშენებლობის პრაქტიკას.

ტექნოლოგიური მოთხოვნები ენერგოეფექტურობის და მწვანე შენობის ნაწილში

ენერგოეფექტურობის და/ან მწვანე შენობის მისაღწევად გამოყენებული უნდა იქნას დაბალი (და არა მაღალი) ტექნოლოგიები. ეს გულისხმობს საბიუჯეტო (არა ძვირ) გადაწყვეტილებებს რათა რეალისტური იყოს პროექტის განხორციელება მოცემული ბიუჯეტის პირობებში.